დამტკიცებულია
თსსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს
2024 წლის 22 ივლისის N23/12 დადგენილებით

# თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
# დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დებულება

## მუხლი 1. დებულების მიზანი და რეგულირების სფერო

1.წინამდებარე დებულებით განისაზღვრება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი”)—დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის, როგორც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის შემადგენელი სტრუქტურული ერთეულის მიზნები, სტრუქტურა, ძირითადი ფუნქციები და საქმიანობის წესი; ასევე, განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის (დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა - შემდგომში - ,,საგანმანათლებლო პროგრამა”) განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები.

## მუხლი 2.ზოგადი დებულებები

1„საგანმანათლებლო პროგრამა“ თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, თსსუ–ის წესდებით, საქართველოს სხვა კანონებითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის შიდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით;

2.დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა შემუშავებულია „უნივერსიტეტის“ და ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის (ატლანტა, აშშ) თანამშრომლობით და დაფუძნებულია ემორის სამედიცინო სკოლის ინოვაციურ კურიკულუმზე.

3.დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სტრატეგიული მიზანია, მოამზადოს საერთაშორისოდ აღიარებული კომპეტენტური, კონკურენტუნარიანი, სათანადო ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური ექიმები, რომელთაც სრულად აქვთ გააზრებული ვალდებულება პაციენტებისა და საზოგადოების წინაშე, იზიარებენ ეთიკური ღირებულებების (თანაგრძნობისა და ტოლერანტობის) პრინციპებს, აღიარებენ კვლევის მნიშვნელოვან როლს ჯანდაცვის სისტემის განვითარებისათვის, მზად არიან დიპლომისშემდგომი განვითარებისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის.

## მუხლი 3. ძირითადი ფუნქციები და საქმიანობის სფერო

1. დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ძირითადი ფუნქციებია:

ა) ამერიკულ მხარესთან კონსულტაციით, დიპლომამდელი უმაღლესი (ინგლისურენოვანი) სამედიცინო განათლებისათვის სასწავლო პროგრამისა და კურიკულუმის შემუშავება, მისი მუდმივი სრულყოფა და განხორციელება;

ბ) პროგრამის შემუშავებისას ევროპული კრედიტების დაგროვების სისტემის შესაბამისი შინაარსის, ორიენტაციისა და სტრუქტურის პროგრამებისა და კურიკულუმების შემუშავება;

გ) ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელება, მათ შორის, საერთაშორისო სასწავლო და სამეცნიერო–კვლევით ცენტრებთან ერთად, პროგრამის სასწავლო, სამეცნიერო – კვლევითი საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შემუშავება, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებისა და გეგმების შედგენა;

დ) სტუდენტის პიროვნული განვითარებისა და საზოგადოების აქტიურ წევრად ჩამოყალიბება, საზოგადოებრივ აქტივობებში ჩართულობის ხელშეწყობით;

ე) პროგრამის მფლობელობაში არსებული ქონების ფლობასა და სარგებლობასთან დაკავშირებულ საკითხების დადგენა საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით, კომპეტენციის ფარგლებში;

ვ) უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო პოლიტიკის ძირითადი სტრატეგიის შემუშავებაში მონაწილეობა;

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული ძირითადი ფუნქციების განხორციელების მიზნით, პროგრამის საქმიანობა, ასევე, მოიცავს შემდეგ საკითხებს:

ა) სასწავლო პროცესის დაგეგმვა, კოორდინაცია და მონიტორინგი;
ბ) საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების (შემდგომში - „სტუდენტი”) დოკუმენტაციის (პირადი საქმის) წარმოება და შენახვა;
გ) სტუდენტებსა და „უნივერსიტეტს“ შორის დადებული კონტრაქტების შესრულების მონიტორინგი;

3. პროგრამის ადმინისტრაცია უნივერსიტეტის შესაბამის დეპარტამენტებთან კოორდინაციით ახორციელებს შემდეგ აქტივობებს:

ა)სამედიცინო განათლების სფეროში არსებული თანამედროვე ტენდენციების შემუშავება და დანერგვა, მათ შორის, უცხოელ პარტნიორებთან (მათ შორის ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლასთან) თანამშრომლობით;
ბ)ამერიკელ პარტნიორებთან (ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლა) კომუნიკაცია პროგრამის იმპლემენტაციის პროცესის მიმდინარეობის და, ზოგადად, პროგრამის განვითარების შესახებ;

გ)აქტიური მონაწილეობა თანამედროვე სამედიცინო განათლების სფეროში გამართულ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში/ტრენინგებში/კონგრესებში;
დ)სამედიცინო განათლების სფეროში ინოვაციური პროექტების შემუშავება, დანერგვა და ორგანიზება ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან(მათ შორის, ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლასთან) ურთიერთთანამშრომლობით;
ე)საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილე რგოლის (ადმინისტრაცია,აკადემიური პერსონალი,სტუდენტი, დამსაქმებელი) კმაყოფილების კვლევა და სხვადასხვა სახის უკუკავშირის საფუძველზე მიღებული რეკომენდაციების განხორციელებაში აქტიური მონაწილეობა;
ვ) პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება და განხორციელება;
ზ) პროგრამის ბიუჯეტის დაგეგმვაში მონაწილეობა;
თ) საერთაშორისო სტუდენტების სწავლის საფასურის, საბანკო ტრანსფერების კონტროლი;
ი) სტუდენტთა გაცვლითი პროგრამებისა და პარტნიორ უნივერსიტეტებში სტუდენტთა სტაჟირების ორგანიზება კლინიკური სწავლების მიზნით;
კ) სამეცნიერო კვლევებში სტუდენტების აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა;
ლ) საზოგადოებრივ აქტივობებში სტუდენტთა აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა;
მ) სტუდენტთა გაერთიანებების საქმიანობის ხელშეწყობა;
ნ) სამეცნიერო კონფერენციების, შეხვედრების, კულტურული და სპორტული ღონისძიებების ორგანიზაცია და მხარდაჭერა;
ო) კურსდამთავრებულებთან კომუნიკაცია მათთვის საჭირო ინფორმაციის დროულად მიწოდებისა და პროგრამის განვითარების ხელშეწყობისათვის;
პ) პერსონალის შერჩევის პროცესში (მათ შორის კონკურსის მეშვეობით) მონაწილეობის მიღება;
ჟ) პროგრამაში ჩართული პერსონალის მუდმივ განვითარებაზე ზრუნვა ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლასთან ურთიერთთანამშრომლობით;
რ) სასწავლო პროგრამების, ცხრილების სინქრონიზაცია;
ს) პროგრამის ინფრასტრუქტურის, ელექტრონული სერვისების და წიგნადი ფონდის მუდმივი განახლება უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობით;

**მუხლი 4. დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის (სტრუქტურული ერთეულის) ორგანიზაცია**

1.დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის (სტრუქტურული ერთეულის) პერსონალს შეადგენს:
ა) პროგრამის დირექტორი;
ბ) პროგრამის დირექტორის მოადგილე;
გ) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
დ) პროგრამის კონსულტანტი;
ე) პროგრამის მთავარი სპეციალისტი;
ვ) პროგრამის კოორდინატორი;

3. პროგრამის საქმიანობის მიზნებიდან და კონკრეტული სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამაზე, საქმიანობის განხორციელების მიზნით შესაძლებელია მოწვეული იქნენ:

ა) მცირე ჯგუფის კოორდინატორები;
ბ) ,,გახდი ექიმის" კურსის კოორდინატორები;
გ) მოდულის/კლერკშიფის კოორდინატორები;
დ) სტაჟიორები;
ე) სიმულაციური პაციენტები;
ვ) შტატგარეშე თანამშრომლები.

3.
ა) პროგრამის დირექტორის, პროგრამის დირექტორის მოადგილის,საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება წინამდებარე დებულებით.
ბ) მე-4 მუხლის: პირველი პუნქტის „დ", „ე" და „ვ" ქვეპუნქტებით და მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირების თანამდებობრივი ინსტრუქციები მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

**მუხლი 5. პროგრამის დირექტორი**

პროგრამის დირექტორი ანგარიშვალდებულია აკადემიური მიმართულებით ვიცე - რექტორის წინაშე და პასუხისმგებელია:

ა) სასწავლო-სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობის ეფექტურად წარმართვის ორგანიზებაზე;
ბ) სასწავლო და მეთოდური მუშაობის დაგეგმვაზე, ორგანიზაციასა და კონტროლზე;
გ) სასწავლო პროცესის ორგანიზაციაზე;
დ) სასწავლო პროცესის აღრიცხვასა და კონტროლზე;
ე) სასწავლო განრიგისა და სწავლების პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შემუშავებაზე;
ვ) ღონისძიებათა შემუშავებაზე სწავლების ხარისხისა და ეფექტურობის ასამაღლებლად;
ზ) მეთოდური მუშაობის დაგეგმვასა და ორგანიზაციაზე;
თ) პედაგოგიური მუშაობის ხარისხის კონტროლზე უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურთან ერთად;
ი) სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფაზე სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და ა.შ.) გამოყენების გზით
კ) პროგრამის მიზნებისა და ამოცანების დისემინაციაზე პროგრამის განხორციელებაში მონაწილე ყველა მხარესთან (სტუდენტები, განმახორციელებლი პერსონალი, ადმინისტრაცია);
ლ) სტუდენტების სასწავლო კურსების სილაბუსებით უზრუნველყოფის კონტროლზე;
მ) სწავლების პროცესის შეფასებაზე, მონაცემთა დამუშავებაზე, უკუკავშირის (გამოკითხვების) უზრუნველყოფაზე;
ნ) სასწავლო პროგრამების განხორციელების კონტროლზე, ლექცია-სემინარების მიმდინარეობაზე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად;

ო) სასწავლო ცხრილების შედგენის კონტროლზე;
პ) სასესიო გამოცდების მართვასა და კონტროლზე;
ჟ) რეგულარულ ურთიერთობაზე ამერიკულ მხარესთან, რეპორტინგზე;
რ) მოწვეული მომხსენებლების (ე.წ.Guest speaker) მოძიება და მათი მოწვევის ორგანიზებაზე;
ს) პროგრამის განვითარების დონის შეფასებაში მონაწილეობასა და ღონისძიებების შემუშავებაზე ხარვეზების აღმოსაფხვრელად;
ტ) კურიკულუმის კომიტეტის შეხვედრების ორგანიზებასა და მონაწილეობაზე.

**მუხლი 6. პროგრამის დირექტორის მოადგილე**

პროგრამის დირექტორის მოადგილე ანგარიშვალდებულია პროგრამის დირექტორის წინაშე და პასუხისმგებელია:

ა) რეგულარულ ურთიერთობაზე სტუდენტებთან სასწავლო აკადემიური პროცესსა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით;
ბ) სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების ინფორმირებაზე მიმდინარე სასწავლო და სამეცნიერო პროცესების შესახებ;
გ) სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე, აღრიცხვასა და კონტროლში მონაწილეობაზე;
დ) სწავლების პროცესის შეფასებაზე, მონაცემთა დამუშავების რეკომენდაციების შემუშავებაში მონაწილეობაზე;
ე) სასწავლო ცხრილების შედგენასა და კონტროლირებაში მონაწილეობაზე;
ვ) სასესიო გამოცდების ორგანიზებასა და კონტროლირებაში მონაწილეობაზე.
ზ) სტუდენტებისათვის პროგრამული და კურიკულუმის გარეშე სასწავლო პროექტების გაცნობაზე, მათში ორიენტაციასა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენაში დახმარებაზე.
თ) სხვადასხვა სახის ღონისძიების ორგანიზებაზე პროგრამის ფართო მასებისთვის გასაცნობად;
ი) სტუდენტების მონაწილეობის უზრუნველყოფაზე სხვადასხვა სახის სარეკლამო ღონისძიებაში (პროგრამის სარეკლამო მიზნებისთვის);
კ) მედიისათვის (როგორც ინტერნეტ-სფეროში, ისე ბეჭდვით, რადიო და ტელეგადაცემებში) პროგრამის შესახებ ინფორმაციის დროულ მოწოდებაზე;
ლ) კურიკულუმგარეშე ღონისძიებების დაგეგმვაზე;
მ) სტუდენტთა გაცვლითი პროგრამებში მონაწილეობის დაგეგმვაზე და ორგანიზებაზე (მათ შორის ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლაში);
ნ) პროგრამის ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის გვერდის მუდმივ კონტროლსა და განახლებაზე;
ო) ინფორმაციის უწყვეტ რეჟიმში მიღება-მიწოდების მიზნით, უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან კონტაქტზე;

**მუხლი 7. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი**

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია აკადემიური მიმართულებით ვიცე-რექტორის და პროგრამის დირექტორის წინაშე და პასუხისგებელია:

ა) პროგრამის მიზნების შემუშავებაზე პროგრამის განვითარებაში ჩართულ მხარეებთან ერთად;
ბ) პროგრამის განვითარებისა და იმპლემენტაციის პოლიტიკაზე;
გ) პროგრამის განვითარების პერსპექტივებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი სრულყოფის გეგმების შემუშავებაზე;
დ) პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი კურსების ჩასატარებლად შესაფერისი კლინიკის/ლაბორატორიის და სხვა რესურსების შერჩევა-განსაზღვრაზე.
ე) პროგრამის განვითარების კონტროლსა და შეფასებაზე;
ვ) პროგრამის განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავებაზე, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების შემუშავებაზე;
ზ) პროგრამის სტრუქტურისა და დებულების შემუშავებაზე;
თ) სამედიცინო განათლების სფეროში ინოვაციური პროექტების შემუშავება, დანერგვა და ორგანიზებაზე ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან (მათ შორის მთავარ სტრატეგიულ პარტნიორთან - ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლასთან) ურთიერთთანამშრომლობით;
ი) კურიკულუმის კომიტეტის შეხვედრებში მონაწილეობაზე;
კ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, პასუხისმგებელია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს, წარმომადგენლობითი საბჭოსა და მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებაზე;
ლ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების გამოცემაზე.
მ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და უნივერსიტეტის წესდებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილების შესრულებაზე.

**მუხლი 8. დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული საგანმანათლებლო პროგრამის ორგანიზაცია.**

1. დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების მიხედვით და შეესაბამება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს (მაგისტრატურასთან გათანაბრებული). პროგრამა მოიცავს 360 ECTS კრედიტს (1 ECTS კრედიტი= 30 საათი);
2. პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლება განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ კანონის“ 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის #224/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“შესაბამისად.
3. საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა დასაშვებია სწავლების ერთი აკადემიური წლის დასრულების შემდეგ. მობილობა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის დეკემბრის #10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის აქტით დამტკიცებული სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.
4. ის აპლიკანტები, რომლებიც თსსუ-ში ირიცხებიან ინგლისურენოვან პროგრამაზე ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი მოთხოვნების მიხედვით ვალდებულნი არიან ჩააბარონ ინგლისური ენის ცოდნის ტესტი ან გაიარონ გასაუბრება. ისინი უნდა ფლობდნენ ინგლისურ ენას არანაკლებ B 1 დონეზე.
5. პროგრამაზე მობილობა და შიდა მობილობა ხორციელდება პროგრამის ყველა სემესტრში, გარდა მე-10, მე-11 და მე-12 სემესტრებისა.
6. დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამაზე მობილობით ჩარიცხვის კრიტერიუმები განისაზღვრება დანართი 1 -ის შესაბამისად.
7. გასაუბრების ჩატარების წესი და შეფასების ფორმა დამტკიცდეს დანართი 2-ის შესაბამისად.

**მუხლი 9. დასკვნითი დებულებები**

1. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი თსსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 4 აპრილის #23/5 დადგენილებით დამტკიცებული „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დებულება“.
2. დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დებულების ძალადაკარგულად გამოცხადება ან ცვლილების შეტანა ხორციელდება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი 1

**დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამაზე მობილობით და შიდა მობილობით ჩარიცხვის კრიტერიუმები:**

1. აპლიკანტს დაძლეული უნდა ჰქონდეს პროგრამაზე ჩარიცხვის წელს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი ეროვნული გამოცდების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ყველა საგამოცდო საგანში, რაც დასტურდება ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტის საფუძველზე. (საზღვარგარეთ მიღებული განათლების შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი);
2. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მინიმალური კომპეტენციის ზღვრის დაძლევა ყველა საგამოცდო საგანში აუცილებელია კონკურსის შემდგომ ეტაპზე (გასაუბრების ეტაპი) გადასასვლელად.
3. გასაუბრების ჩატარების წესი და შეფასების დეტალური კრიტერიუმები იხ. დანართ 2-ში.
4. გასაუბრებაზე მიღებული დადებითი ქულის შემთხვევაში აპლიკანტი გადავა შემდეგ ეტაპზე (გამოცდის ეტაპი);
5. გამოცდა ეხება მხოლოდ კლინიკურ ეტაპზე მობილობის მსურველ აპლიკანტებს;
6. გამოცდა ორნაწილიანია: პირველი ნაწილი წერითია - პრეკლინიკური მინიმალური ცოდნის დასადასტურებლად (გადალახულია იმ შემთხვევაში, თუკი 60%-ს მიიღებს,) მეორე ნაწილი - კლინიკური უნარ-ჩვევების შესამოწმებლად (გადალახულია იმ შემთხვევაში, თუკი 80%-ს მიიღებს).
7. აპლიკანტის მიერ USMLE step 1-ის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში, გამოცდის პირველი კომპონენტი ჩაბარებულად ჩაითვლება (განისაზღვრება მაქსიმალური ქულა).
8. გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება ორივე კომპონენტში დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.
9. გასაუბრებისა და გამოცდის ეტაპები ტარდება ინგლისურ ენაზე უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალით წინასწარ დაკომპლექტებულ კომისიასთან და ორგანიზებულია პროგრამის ადმინისტრაციის მიერ.

დანართი 2

**გასაუბრების ჩატარების წესი**

1. დანართი 1-ის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდეგ აპლიკანტს უტარდება გასაუბრება.
2. გასაუბრება ხდება ინგლისურ ენაზე, რომელსაც ატარებს  უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისია.
3. გასაუბრებისას შეფასდება სტუდენტის ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის უნარი, სტუდენტის მოტივაცია და მზაობა პროგრამის შედეგების მისაღწევად, ასევე, ლოგიკური აზროვნების უნარი.

ა) გასაუბრების შეფასების დეტალური კრიტერიუმები:

| | 3 | 2 | 1 | 0 |
|---|---|---|---|---|
| ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის უნარი | | | | |
| ლოგიკური აზროვნების უნარი | | | | |
| სტუდენტის მოტივაციის თანხვედრა პროგრამის მიზნებთან | | | | |
| სტუდენტის მზაობის თანხვედრა პროგრამის მიზნებთან | | | | |

3- მაქსიმალური შეფასება

0 - მინიმალური შეფასება

ბ) გასაუბრების ქულების მაქსიმალური ჯამია 12. მინიმალური დადებითი შეფასებაა 6 ქულა. 0-დან 5-მდე შეფასება არადამაკმაყოფილებელია.

გ) გასაუბრების ოქმს ხელს აწერენ: კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მდივანი და კომისიის წევრები.